საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020148250089018

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 524/ს

26 / აპრილი / 2018 წ.

„სს „კურორტ ახტალა“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №1421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების მე-6[1] მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის 1[3] პუნქტის , „სს „კურორტ ახტალაზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელებასა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აპრილის №859 განკარგულების და სს „კურორტი ახტალას“ წერილების (სააგენტოს №1620 27.02.2018წ., №3332 20.04.2018წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სს „კურორტ ახტალა“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №1421 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2047 წლის 28 სექტემბრმდე”.

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] , 1[2] პუნქტები:

„1[1]. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არაუგვიანეს 2032 წლის 1 მარტამდე გადათვალოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგები და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს მარაგების ანგარიში.”

1[2]. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილების შეტანა და ახალი სალიცენზიო მოწმობის სს „კურორტი ახტალა“-ზე (ს/კ 227720883) გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუტქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს სს „კურორტი ახტალა“-ს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2.)

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი — მაია ზავრაშვილი